

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესი

1. მიზანი

1.1. წინამდებარე წესი აწესრიგებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე სადოქტორო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ათვისების პროცედურებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 04 აგვისტოს №01-05-04/115 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულებისა“ და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 19 მაისის №42 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების“ შესაბამისად.

1.2. წესის ძირითადი მიზანია, ხელი შეუწყოს დოქტორანტის მიერ სადოქტორო პროგრამაზე მუშაობას, დროის ეფექტიანად დაგეგმვას, აკადემიური რესურსის რაციონალურად გამოყენებას, აკადემიური და კვლევითი რესურსების ოპტიმიზაციას, შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

2. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი

1. სასწავლო კომპონენტის მიზანი, ელემენტები და შეფასების წესი

2.1.1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის მიზანია დოქტორანტის დარგობრივი და მეთოდოლოგიური დახელოვნება. იგი ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში, მომავალ პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობაში. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი არ უნდა აღემატებოდეს 60 კრედიტს.

2.1.2. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი, მისი ელემენტების თანმიმდევრობა და მოცულობა კრედიტებში განისაზღვრება ინდივიდუალურად, ყოველი სადოქტორო პროგრამისათვის.

2.1.3. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები შესაძლებელია მოიცავდეს ლექციათა ციკლს, ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ, ლაბორატორიულ მუშაობას და სტუდენტის სხვა დატვირთვას.

2.1.4. შეფასების ფორმები, კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წილი, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან და სწავლების მიზნებიდან გამომდინარე, განისაზღვრება სასწავლო კურსის პროგრამით (სილაბუსით) და ხელმისაწვდომია დოქტორანტურის სტუდენტისათვის.

2.1.5. პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსის სწავლებისას სტუდენტის მოსწრება ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

2.1.6. საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსის პროგრამით (სილაბუსით) გათვალისწინებული საკითხების ათვისება (სწავლის შედეგების მიღწევა) ფასდება 100 ქულიანი სისტემით. შუალედურ შეფასებაში არანაკლებ 30 ქულის მიღების შემთხვევაში დოქტორანტი მიიღებს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლებას. სასწავლო კურსი დოქტორანტს ჩაბარებულად ეთვლება, თუ შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის (მინიმალური 21 ქულა) შედეგად იგი დააგროვებს არანაკლებ 51 ქულას.

2.1.7. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსის დადებით შეფასებად ითვლება:

- (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- (C) კარგი – 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

2.1.8. პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსის უარყოფით შეფასებად ითვლება:

- (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

3. საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი

3.1. კვლევითი კომპონენტის მიზანი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის მიზანია, კვლევის თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად, მოამზადოს მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრები.

3.2. კვლევითი კომპონენტის ელემენტები/ეტაპები

საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის სავალდებულო ელემენტები/ეტაპებია:

- პროექტი/პროსპექტუსი;
- კოლოკვიუმი 1;
- კოლოკვიუმი 2;
- კოლოკვიუმი 3;
- დისერტაციის წინასწარი დაცვა;
- დისერტაციის დასრულება და დაცვა.

გამონაკლის შემთხვევაში, სადოქტორო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია დადგინდეს კვლევითი კომპონენტების მითითებულისგან განსხვავებული შემადგენლობა. ყოველი სამეცნიერო კომპონენტის ეტაპი წარმოადგენს შემდეგი ეტაპის სავალდებულო წინაპირობას.

3.3. სამეცნიერო კომპონენტის ბოლო ეტაპის გავლა დასაშვებია დოქტორანტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის არანაკლებ 3 წლის შემდეგ.

3.4. სადისერტაციო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი

3.4.1. სწავლების პირველი წლის მეორე სემესტრში დოქტორანტი ამზადებს კვლევის პროექტს/პროსპექტუსს.

3.4.2. სადისერტაციო კვლევის პროექტის/პროსპექტუსის დეტალური გეგმა (დასამუშავებელი საკითხების ჩამონათვალი) იწერება ხელმძღვანელთან ერთად.

3.4.3. კვლევის პროექტზე/პროსპექტუსზე მუშაობა მიმდინარეობს დოქტორანტის ხელმძღვანელთან კონსულტაციების (მათ შორის „ონლაინ“ რეჟიმში) და სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატში.

3.4.4. სადისერტაციო კვლევის პროექტის/პროსპექტუსის სტრუქტურა:

- შესავალი (ზოგადი დახასიათება, სამეცნიერო სიახლე, აქტუალურობა, მიზნები და თეორიული/პრაქტიკული მნიშვნელობა);
- სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა (საკითხის კვლევის ისტორია, საკვლევი საკითხის ადგილი თანამედროვე მეცნიერებაში, რატომ არის საკითხი აქტუალური, რა ეტაპზეა დოქტორანტი შერჩეული წყაროების კვლევის თვალსაზრისით);
- კვლევის მეთოდოლოგია;
- ძირითადი საკვლევი საკითხები (რა პრობლემების გადაჭრას ისახავს დოქტორანტი მიზნად);
- კვლევის მოსალოდნელი შედეგები (რამდენად შეაქვს დოქტორანტს წვლილი დარგის განვითარებაში);
- დისერტაციის შესრულების სავარაუდო გრაფიკი (კვლევის გეგმა);
- დისერტაციის სავარაუდო სტრუქტურა.

3.4.5. კვლევის პროექტი/პროსპექტუსი მოიცავს დოქტორანტის მიერ სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავებას, კვლევისათვის აუცილებელ ძირითად ბიბლიოგრაფიასა და საკითხის კვლევის ისტორიას. დოქტორანტმა მოკლედ უნდა მიმოიხილოს თუ რა არის გაკეთებული ამ მიმართულებით და რა კეთდება ამჟამად (ვინ მუშაობს და რა მიმართულებით). პროსპექტუსში უნდა ჩანდეს საკვლევი საკითხის სიახლე და აქტუალობა, შერჩეული თემის სამეცნიერო და თეორიული/პრაქტიკული ღირებულებების ლოგიკური განმარტება და დასაბუთება.

3.4.6. დოქტორანტს გააზრებული უნდა ჰქონდეს დაგეგმილი კვლევისა და ანალიზის მეთოდები. დოქტორანტმა ლოგიკური მსჯელობით უნდა დაასაბუთოს წინასწარი შეხედულება/მოსალოდნელი კვლევის მოსალოდნელი შედეგების შესახებ; უნდა ჩამოაყალიბოს საკვლევი პრობლემატიკა, მეთოდოლოგია და კვლევის ძირითადი საკითხები; უნდა წარმოადგნოს კვლევის გეგმა და დისერტაციის სავარაუდო სტრუქტურა.

3.4.7. კვლევის პროექტი/პროსპექტუსის მოცულობა უნდა იყოს, არანაკლებ 15 გვერდისა, დანართების გარდა. ყველა გვერდი უნდა დაინომროს თანმიმდევრობით, დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება. ტექსტი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის (297×210 მმ) 80 გ/მ² სიმკვრივის ქაღალდზე, შრიფტი - Sylfaen, ზომა 12. გვერდის ნომრებისა და სქოლიოს შრიფტის მინიმალური ზომა უნდა იყოს 10. თავებისა და ქვეთავების დასახელებაში შეიძლება გამოყენებული იქნეს უფრო დიდი ზომის შრიფტი. ნაშრომის ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალი არის 1.5. ტექსტი უნდა დაიბეჭდოს მხოლოდ ერთ

გვერდზე. გვერდის მარცხენა მხარეს უნდა დარჩეს 30 მმ მინდორი, ხოლო დანარჩენ მხარეებზე – 20 მმ. ტექსტი უნდა დაიბეჭდოს ლაზერულ პრინტერზე ან მასთან მიახლოებული ხარისხით.

3.4.8. როგორც წესი, სწავლების მეორე სემესტრის ბოლოს დოქტორანტი კვლევის პროექტს/პროსპექტუსს წარადგენს შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის სხდომაზე. სხდომის ოქმის (რეკომენდაციებით) ამონაწერი და წარდგენის აუდიო-ვიდეო ჩანაწერი ელექტრონულ მატარებელზე (CD ან DVD) ინახება დოქტორანტის პირად საქმეში. დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში დოქტორანტი აგრძელებს კვლევას.

3.5. კოლოკვიუმი

3.5.1. თეორიული/ექსპერიმენტული კვლევის საფუძველზე დოქტორანტს სწავლების მესამე, მეოთხე და მეხუთე სემესტრის განმავლობაში ევალება სამი კოლოკვიუმის მომზადება. კოლოკვიუმები უნდა ასახავდეს დოქტორანტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს.

3.5.2. კოლოკვიუმის ძირითადი მიზანია დოქტორანტის ცოდნის სისტემატიზაცია, გაწეული მუშაობის წარმოდგენა/პრეზენტაცია, დოქტორანტის შემოქმედებითი აზროვნების წარმოჩენა, სამეცნიერო საზოგადოებასთან კომუნიკაციისათვის აუცილებელი უნარის გამომუშავება.

3.5.3. კოლოკვიუმი უნდა ასახავდეს თეორიული/ექსპერიმენტული კვლევის დასაბუთებულ შედეგებს. კოლოკვიუმში დოქტორანტმა უნდა წარმოაჩინოს, რა მოცულობითა და სიღრმითაა გამოკვლეული კონკრეტული საკითხი (კვლევის ხარისხი), ჩატარებული კვლევების საფუძველზე მიღებული შედეგებიდან გააკეთოს დასკვნები და განსაზღვროს მუშაობის შემდგომი მიმართულება; წარმოაჩინოს მიღებული და მოსალოდნელი შედეგები; გააკეთოს გამოსაქვეყნებლად მომზადებული ან გამოქვეყნებული პუბლიკაციების ანალიზი.

3.5.4. პირველი და მეორე კოლოკვიუმების მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 20 გვერდისა დანართების გარეშე (თითოეულის), ხოლო მესამესი – არანაკლებ 40 გვერდისა. ყველა გვერდი უნდა დაინომროს თანმიმდევრობით, დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება. ტექსტი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის (297×210 მმ) 80 გ/მ² სიმკვრივის ქაღალდზე, შრიფტი - Sylfaen, ზომა 12. გვერდის ნომრებისა და სქოლიოს შრიფტის მინიმალური ზომა უნდა იყოს 10. თავებისა და ქვეთავების დასახელებაში შეიძლება გამოყენებული იქნეს უფრო დიდი ზომის შრიფტი. ნაშრომის ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალი არის 1.5. ტექსტი უნდა დაიბეჭდოს მხოლოდ ერთ გვერდზე. გვერდის მარცხენა მხარეს უნდა დარჩეს 30 მმ მინდორი, ხოლო დანარჩენ მხარეებზე – 20 მმ. ტექსტი უნდა დაიბეჭდოს ლაზერულ პრინტერზე ან მასთან მიახლოებული ხარისხით. ნაშრომს უნდა ერთვოდეს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი.

3.5.5. დოქტორანტის მუშაობა კოლოკვიუმზე ძირითადად მიმდინარეობს ხელმძღვანელთან კონსულტაციების (მათ შორის „ონლაინ“ რეჟიმში) და სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატში.

3.5.6. კვლევის მოცემულ ეტაპებზე მიღებული შედეგები წარედგინება აკადემიურ დეპარტამენტს. დეკანი, აკადემიური დეპარტამენტის უფროსის წარდგინებით, ქმნის 5-7 წევრისგან შემდგარ კომისიას, რომელშიც უნდა შედიოდეს აკადემიური პერსონალი. კომისიის შემადგენლობა მტკიცდება საფაკულტეტო ბრძანებით. კომისიის მუშაობას უნდა დაესწროს დოქტორანტის ხელმძღვანელიც. კომისიაზე დოქტორანტი წარმოადგენს კვლევის მოცემულ ეტაპზე მიღებულ შედეგებს (20–25 წუთი).

3.5.7. თითოეული კოლოკვიუმის კომისიის მიერ დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში, დოქტორანტი აგრძელებს კვლევას.

- 3.5.8. კოლოკვიუმის უარყოფითი რეკომენდაციის შემთხვევაში დოქტორანტი განმეორებით წარადგენს ნაშრომს არსებული წესის შესაბამისად.
- 3.5.9. კოლოკვიუმი-1-ის წინაპირობაა პროექტი-პროსპექტუსი;
- 3.5.10. კოლოკვიუმი-2-ის წინაპირობაა კოლოკვიუმი-1;
- 3.5.11. კოლოკვიუმი-3-ის წინაპირობაა კოლოკვიუმი-2.
- 3.5.12. „დისერტაციის წინასწარი დაცვის“ წინაპირობაა კოლოკვიუმი-3;
- 3.5.13. „დისერტაციის დასრულებისა და დაცვის“ წინაპირობაა „დისერტაციის წინასწარი დაცვა“;
- 3.5.14. თითოეული კოლოკვიუმის ჩატარება ფორმდება ოქმით. კოლოკვიუმის პრეზენტაცია იწერება ელექტრონულ მატარებელზე (CD ან DVD) და ინახება დოქტორანტის პირად საქმეში.

3.6. დისერტაციის წინასწარი დაცვა

- 3.6.1. დისერტაციის დასაცავად წარდგენის წინაპირობა, დოქტორანტურის დებულებით განსაზღვრულ სხვა მოთხოვნებთან ერთად, არის სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი დაცვა აკადემიური დეპარტამენტის გაფართოებულ სხდომაზე. წინასწარი დაცვა ტარდება დამამთავრებელ სემესტრში და მისი ჩატარების ვადები განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.
- 3.6.2. წინასწარ დაცვას შეიძლება ესწრებოდნენ შესაბამისი დარგის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლები, მოწვეული პროფესორები, ემერიტუსები და სხვა დაწესებულების სპეციალისტები. სხდომა თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მდივანს. სხდომის თავმჯდომარე უნდა იყოს უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის პირი. სავალდებულოა სხდომას დაესწროს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.
- 3.6.3. დოქტორანტი სხდომას მოახსენებს თავისი ნაშრომის ძირითად დებულებებს და მიღებულ შედეგებს, მკაფიოდ აყალიბებს სადისერტაციო ნაშრომის აქტუალურობას, მეცნიერულ სიახლეს, პრაქტიკულ ღირებულებას, წარმოაჩენს სადისერტაციო ნაშრომში დასმულ პრობლემას და მისი გადაწყვეტის გზებს. დოქტორანტი პასუხობს სხდომის მონაწილეთა მიერ დასმულ შეკითხვებს.
- 3.6.4. წინასწარი დაცვის შედეგები ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელმოწერით ადასტურებს აკადემიური დეპარტამენტის უფროსი. წინასწარი დაცვის მიმდინარეობა იწერება ელექტრონულად. ჩანაწერი (კომპაქტდისკზე) ინახება სტუდენტის პირად საქმეში.
- 3.6.5. გამონაკლის შემთხვევაში, აკადემიური დეპარტამენტის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე გაცემული რექტორის ნებართვის პირობებში, დოქტორანტმა შესაძლებელია წინასწარი დაცვის ეტაპი გაიაროს დისტანციურად, ონლაინ პლატფორმის გამოყენებით. ამასთან, დაუშვებელია გაფართოებული აკადემიური დეპარტამენტის სხდომის სრული შემადგენლობით დისტანციური ფორმით ჩატარება, წინასწარი დაცვის ეტაპის განხორციელების მიზნით.
- 3.6.6. წინასწარი დაცვის ორგანიზაციულ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია ფაკულტეტის სწავლული მდივანი.

3.7. დისერტაციის დაცვა

3.7.1. დისერტაციის დაცვა (შემდგომში დაცვა) ტარდება დაცვის კოლეგიის სხდომაზე. დისერტაციის დაცვის სხდომა საჯაროა.

3.7.2. თუ დისერტაციის დაცვას, საპატიო მიზეზით, არ ესწრება ერთ-ერთი რეცენზენტი, რომელსაც წარმოდგენილი აქვს დადებითი დასკვნა, ამ შემთხვევაში დასკვნა მთლიანად უნდა იქნეს წაკითხული დაცვის მსვლელობისას. თუ დაცვას არ ესწრება არცერთი რეცენზენტი, დაცვა გადაიდება და დაინიშნება დაცვის ახალი თარიღი დადგენილი წესით.

3.7.3. თუ დოქტორანტი დადასტურებული საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადება დისერტაციის დაცვაზე ან დაცვის კოლეგია არაუფლებამოსილი იქნება კვორუმის არარსებობის გამო ან იარსებებს დაცვის კოლეგიის მუშაობის გაგრძელების დამაბრკოლებელი სხვა ობიექტური გარემოება, დაინიშნება დაცვის ახალი თარიღი დადგენილი წესით.

3.7.4. დაცვა ტარდება ქართულ ენაზე. უცხოენოვანი დოქტორანტურის პროგრამის შემთხვევაში დაცვა ჩატარდება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის ენაზე (აუცილებლობის შემთხვევაში თარჯიმნის მონაწილეობით).

3.7.5. სხდომას ხსნის დაცვის კოლეგიის თავმჯდომარე, იგი ადასტურებს კვორუმის არსებობას (სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედისა) და დამსწრეთ აცნობს სხდომის დღის წესრიგს.

3.7.6. დოქტორანტისა და ოფიციალური რეცენზენტების მოხსენებების, აგრეთვე, დაცვის კოლეგიის წევრებისა და სხვათა გამოსვლების მაქსიმალურ ხანგრძლივობას განსაზღვრავს დაცვის კოლეგია თავმჯდომარის წინადადებით.

3.7.7. სხდომის მდივანი აცხადებს დოქტორანტის ვინაობას, მის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს, დისერტანტის მიერ გავლილი სასწავლო და კვლევითი კომპონენტის ეტაპების შესრულების, მათ შორის, წინასწარი დაცვის შედეგებს, დისერტაციის თემას, რეცენზენტების ვინაობას, დამსწრეთ აცნობს დოქტორანტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებსა და დისერტაციის დაცვის პროცედურას.

3.7.8. სხდომის თავმჯდომარის წინადადებით, დოქტორანტი, რეგლამენტით გათვალისწინებულ დროში, მკაფიოდ აყალიბებს სადისერტაციო ნაშრომის აქტუალურობას, მეცნიერულ სიახლეს, ნაშრომის სხვა ძირითად დებულებებს, მიღებულ შედეგებს და კითხულობს დასკვნებს.

3.7.9. დოქტორანტი პასუხობს დაცვის კოლეგიის წევრებისა და დამსწრეთა მიერ დასმულ შეკითხვებს, რის შემდეგაც თავმჯდომარე დაცვის კოლეგიას გააცნობს დისერტაციაზე გამომხატურებებს (მათი არსებობის შემთხვევაში). ყველა კრიტიკული შენიშვნა მთლიანად უნდა იქნეს წაკითხული. დოქტორანტი ვალდებულია, პასუხი გასცეს ყველა შენიშვნას. იწყება რეცენზენტების დისკუსია დოქტორანტთან, რის შემდეგაც სიტყვა ეძლევა სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ს დოქტორანტის დახასიათებისათვის. დისკუსიაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც დაცვის კოლეგიის წევრებს, ისე სხვა დამსწრე პირებს.

3.7.10. დისერტაციის დაცვის დროს დოქტორანტმა შეიძლება გამოიყენოს თვალსაჩინო მასალა: პლაკატები, ვიდეო პროექტორი და სხვა ტექნიკური საშუალებები.

3.7.11. დისერტაციის დაცვის მსვლელობა ფიქსირდება აუდიო/ვიდეოტექნიკური საშუალებებით, იწერება ელექტრონულ მატარებელზე (CD ან DVD) და ინახება დოქტორანტის პირად საქმეში.

3.8 შეფასება

3.8.1. დოქტორანტის მიერ წარმოდგენილი ნაშრომი ფასდება დაცვის დამთავრებისთანავე, კოლეგიის თითოეული წევრის მიერ, ფარული კენჭისყრით, დადგენილი ფორმის შეფასების ბიულეტენის გამოყენებით (დანართი 2).

3.8.2. ამ პროცედურის ჩატარების მიზნით, სხდომის თავმჯდომარის წინადადებით დაცვის კოლეგია თავისი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით ირჩევს შეფასებების დამთვლელ კომისიას 3 წევრის შემადგენლობით, რომელიც პასუხისმგებელია პროცედურის კონფიდენციალურობაზე.

3.8.3. შეფასებების დამთვლელი კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს, რომელიც პასუხისმგებელია შესაბამისი დოკუმენტების შედგენასა და სხვა ორგანიზაციულ საკითხებზე.

3.8.4. პროცედურის დაწყების წინ დაცვის კოლეგიის მდივანი კოლეგიის წევრებს აცნობს აღნიშნულ პროცედურასა და შეფასების ბიულეტენის შევსების წესს.

3.8.5. დაცვის კოლეგიის წევრებმა პროცედურაში მონაწილეობა უნდა მიიღონ პერსონალურად. დაუშვებელია შეფასების უფლების გადაცემა სხვა პირზე.

3.8.6. დაცვის კოლეგიის წევრთა შეფასებების საფუძველზე განისაზღვრება მათ მიერ დაწერილი ქულების საშუალო არითმეტიკული, რის საფუძველზეც დაიწერება საბოლოო შეფასება ამ მუხლის მე-8 ან მე-9 პუნქტის შესაბამისად.

3.8.7. დისერტაციის ერთჯერადი შეფასებისთვის გამოიყენება ხუთი დადებითი და ორი უარყოფითი შეფასება.

3.8.8. დადებითი შეფასებებია:

ა) ფრიადი (*summa cum laude*) – შესანიშნავი ნაშრომი – 91-100 ქულა;

ბ) ძალიან კარგი (*magna cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება – 81-90 ქულა;

გ) კარგი (*cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება - 71-80 ქულა;

დ) საშუალო (*bene*) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს – 61-70 ქულა;

ე) დამაკმაყოფილებელი (*rite*)–შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

3.8.9. უარყოფითი შეფასებებია:

ა) არადამაკმაყოფილებელი (*insufficient*) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს – 41-50 ქულა;

ბ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს – 40 ქულა და ნაკლები.

3.8.10. შეფასებების დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე დაცვის კოლეგიას უცხადებს პროცედურის შედეგებს. დაცვის კოლეგიის დამსწრე წევრთა 2/3-ის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში შედეგები ფორმდება ოქმით (იხ. დანართი 3), რომელსაც ხელს აწერენ დაცვის კოლეგიის თავმჯდომარე და წევრები.

3.8.11. შეფასებების დამთვლელი კომისიის ოქმი მტკიცდება ღია კენჭისყრით, ოქმი და ბიულეტენები ინახება დაცვის კოლეგიაში დოქტორანტის დოკუმენტებთან ერთად.

3.8.12. თუ შეფასებების დამთვლელი კომისიის ოქმი ვერ დამტკიცდა, შეფასების პროცედურა უნდა განმეორდეს ან გადაიდოს შემდეგი სამუშაო დღისათვის. შეფასების დამთვლელი

კომისია უზრუნველყოფს ახალი ბიულეტენების გადაცემას დაცვის კოლეგიის წევრებისათვის და დაცვის კოლეგია ხელახლა აწყობს ფარულ პროცედურას.

3.8.13. შეფასებების დამთვლელი კომისიის ოქმის დამტკიცების შემდეგ დაცვის კოლეგიის თავმჯდომარე საბოლოო გადაწყვეტილებას აცნობს დოქტორანტს და აუდიტორიას.

3.8.14. არადამაკმაყოფილებელი (insufficient) შეფასების მიღების შემთხვევაში სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგია განუსაზღვრავს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის პირობებსა და ვადებს (სტატუსის შენარჩუნებით), ხოლო სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) შეფასების ან განმეორებით „არადამაკმაყოფილებელი“ შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას. ასეთ შემთხვევაში მას უწყდება სტუდენტის სტატუსი.

3.8.15. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დადებითი შეფასების მიღებისას, სადისერტაციო ნაშრომის დაცვის დოკუმენტაცია შეფასებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში ფაკულტეტის სწავლული მდივნის მიერ წარედგინება შესაბამის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.

3.8.16. სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ დაცვის შეფასება დადგენილ ვადაში აისახება შეფასების ელექტრონულ უწყისში.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები

1. სადისერტაციო თემის აქტუალობა – შეფასება 4 ქულამდე (მაქსიმუმ 15 ქულა. სკალირებული ქულა=3,75 x M)

4 ქულა	სადისერტაციო თემა აქტუალურია და დარგის განვითარებაზეა ორიენტირებული.
3 ქულა	სადისერტაციო თემა აქტუალურია და ნაკლებად არის ორიენტირებული დარგის განვითარებაზე.
2 ქულა	სადისერტაციო თემის აქტუალობა გამომდინარეობს დარგის განვითარების პოტენციური შესაძლებლობიდან.
1 ქულა	სადისერტაციო თემა მოძველებულია და ნაკლებად აქტუალური.
0 ქულა	სადისერტაციო თემა არ არის აქტუალური. შესაბამისად, ვერავითარ წვლილს ვერ შეიტანს დარგის განვითარებაში.

2. სადისერტაციო ნაშრომის სიახლე – შეფასება 4 ქულამდე (მაქსიმუმ 18 ქულა. სკალირებული ქულა=4,5 x M)

4 ქულა	სადისერტაციო ნაშრომს აქვს მეცნიერული სიახლე, რაც მკაფიოდ და ჩამოყალიბებული, თვალსაჩინოა დოქტორანტის წვლილი პრობლემის კვლევაში
3 ქულა	სადისერტაციო ნაშრომი შეიცავს მეცნიერულ სიახლეს, მაგრამ ჩამოყალიბებულია არამკაფიოდ, დოქტორანტი კარგად წარმოაჩენს თავის წვლილს პრობლემის კვლევაში.
2 ქულა	სადისერტაციო ნაშრომი შეიცავს მეცნიერულ სიახლეს, მაგრამ ჩამოყალიბებულია არადამაჯერებლად, დოქტორანტს უჭირს პრობლემის კვლევაში თავისი წვლილის წარმოჩენა
1 ქულა	სადისერტაციო ნაშრომში მითითებული სიახლე არ დასტურდება წარმოდგენილი კვლევის შედეგებით, დოქტორანტი ვერ აყალიბებს თავის წვლილს პრობლემის კვლევაში.
0 ქულა	სადისერტაციო ნაშრომი არ შეიცავს არავითარ სიახლეს.

3. სადისერტაციო ნაშრომის თეორიული/პრაქტიკული ღირებულება – შეფასება 4 ქულამდე (მაქსიმუმ 18 ქულა. სკალირებული ქულა=4,5 x M)

4 ქულა	სადისერტაციო ნაშრომს აქვს მნიშვნელოვანი თეორიული/პრაქტიკული ღირებულება
3 ქულა	სადისერტაციო ნაშრომს აქვს საკმაოდ მნიშვნელოვანი თეორიული/პრაქტიკული ღირებულება
2 ქულა	სადისერტაციო ნაშრომს აქვს ნაკლებ მნიშვნელოვანი თეორიული/პრაქტიკული ღირებულება
1 ქულა	სადისერტაციო ნაშრომს აქვს უმნიშვნელო თეორიული/პრაქტიკული ღირებულება
0 ქულა	სადისერტაციო ნაშრომს არ გააჩნია თეორიული/პრაქტიკული ღირებულება

4. სადისერტაციო ნაშრომში დასმული პრობლემისა და მისი გადაწყვეტის წარმოჩენა – შეფასება 4 ქულამდე (მაქსიმუმ 25 ქულა. სკალირებული ქულა=6,25 x M)

4 ქულა	სადისერტაციო ნაშრომში დასმული პრობლემის ირგვლივ მსჯელობა სრულყოფილი და დამაჯერებელია. გამართულადაა გამოყენებული პროფესიული ტერმინოლოგია. თემის შესახებ ინფორმაცია გადმოცემულია ამომწურავად, საკითხის საფუძვლიანად ცოდნის დემონსტრირებით. დასმული პრობლემის გადაწყვეტა წარმოჩენილია სრულად
3 ქულა	სადისერტაციო ნაშრომში დასმული პრობლემის ირგვლივ მსჯელობა კარგ დონეზეა. საკმაოდ კარგადაა გამოყენებული პროფესიული ტერმინოლოგია. დოქტორანტი ასახავს წარმოდგენილი თემის შინაარსს, მაგრამ მოკლებულია დამაჯერებლობას. დასმული პრობლემის გადაწყვეტა მეტწილად წარმოჩენილია
2 ქულა	სადისერტაციო ნაშრომში დასმული პრობლემის ირგვლივ მსჯელობა დამაკმაყოფილებელ დონეზეა, თუმცა დასმული პრობლემის გადაწყვეტა წარმოჩენილია არასრულად. პროფესიული ტერმინოლოგია დამაკმაყოფილებელია
1 ქულა	სადისერტაციო ნაშრომში დასმული პრობლემის ირგვლივ მსჯელობა მოიცავს ხარვეზებს. პროფესიული ტერმინოლოგია გამოყენებისას აშვებულია შეცდომები. დასმული პრობლემის გადაწყვეტა წარმოჩენილია მნიშვნელოვანი ხარვეზებით.
0 ქულა	მსჯელობა საკითხის შესაბამისი არ არის. დასმული პრობლემა სრულიად არ არის წარმოჩენილი

5. პასუხები დასმულ შეკითხვებზე – შეფასება 4 ქულამდე (მაქსიმუმ 18 ქულა. სკალირებული ქულა=4,5 x M)

4 ქულა	პასუხები დასმულ შეკითხვებზე გამართულია, საკითხის საფუძვლიანად ცოდნის დემონსტრირებით.
3 ქულა	პასუხები დასმულ შეკითხვებზე კარგ დონეზეა, მაგრამ მოკლებულია დამაჯერებლობას.
2 ქულა	პასუხები დასმულ შეკითხვებზე დამაკმაყოფილებელია, თუმცა არასრულყოფილია.
1 ქულა	პასუხები დასმულ შეკითხვებზე არასრული და არადამაჯერებელია.
0 ქულა	პასუხები დასმულ შეკითხვებზე საკითხის შესაბამისი არ არის.

6. ვიზუალური მასალის წარმოჩენა – შეფასება 4 ქულამდე (მაქსიმუმ 6 ქულა. სკალირებული ქულა=1,5 x M)

4 ქულა	ვიზუალური მასალა წარმოჩენილია სრულყოფილად, გამართულად
3 ქულა	ვიზუალური მასალა წარმოჩენილია კარგად, საკმაოდ გამართულად
2 ქულა	ვიზუალური მასალა წარმოჩენილია მცირე ხარვეზებით, მაგრამ დამაკმაყოფილებლად
1 ქულა	ვიზუალური მასალა წარმოჩენილია მრავალი ხარვეზებით
0 ქულა	ვიზუალური მასალა წარმოჩენილია არადამაკმაყოფილებლად, არაადეკვატურად,

შეფასების ბიულეტენის ფორმა

შეფასების ბიულეტენი წარმოადგენს A5 ფორმატის (210×148მმ), 80 გ/მ² სიმკვრივის ქაღალდის ფურცელს, რომლის პირველი გვერდი მოიცავს ტექსტს: შეფასების ბიულეტენი, სადისერტაციო საბჭოს დასახელება, დოქტორანტის სახელი და გვარი, თარიღი, აგრეთვე, ამ გვერდზე მოცემულია შეფასების სისტემა და შესაბამისი ქულები; მეორე გვერდზე განთავსებულია შეფასების კრიტერიუმები, მათი შეფასების შესაძლო მაქსიმალური ქულები და დოქტორანტის მიერ მიღებული ქულები.

შეფასების ბიულეტენის პირველი გვერდის ფორმა

შეფასების ბიულეტენი

სადისერტაციო საბჭო

დოქტორანტი:

სახელი

გვარი

დაცვის თარიღი

ფრიადი	100	99	98	97	96	95	94	93	92	91	დადებითი შეფასება
ძალიან კარგი	90	89	88	87	86	85	84	83	82	81	
კარგი	80	79	78	77	76	75	74	73	72	71	
საშუალო	70	69	68	67	66	65	64	63	62	61	
დამაკმაყოფილებელი	60	59	58	57	56	55	54	53	52	51	
არადამაკმაყოფილებელი	50	49	48	47	46	45	44	43	42	41	უარყოფითი შეფასება
სრულიად არადამაკმაყოფილებელი	40	39	38	37	36	35	34	33	32	31	
	30	29	28	27	26	25	24	23	22	21	
	20	19	18	17	16	15	14	13	12	11	
	10	9	8	7	6	5	4	3	2	1	

გთხოვთ, შემოხაზოთ ჯამური ქულა

შეფასების ბიულეტენის მეორე გვერდის ფორმა

№	დისერტაციის შეფასების კრიტერიუმები	ქულათა მაქსიმალური რაოდენობა	მიღებული ქულები									
			1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	სადისერტაციო თემის აქტუალობა	15	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
			11	12	13	14	15					
2	სადისერტაციო ნაშრომის სიახლე	18	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
			11	12	13	14	15	16	17	18		
3	სადისერტაციო ნაშრომის თეორიული/პრაქტიკული ღირებულება	18	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
			11	12	13	14	15	16	17	18		
4	სადისერტაციო ნაშრომში დასმული პრობლემისა და მისი გადაწყვეტის წარმოჩენა	25	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
			11	12	13	14	15	16	17	18	19	20
			21	22	23	24	25					
5	პასუხები დასმულ შეკითხვებზე	18	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
			11	12	13	14	15	16	17	18		
6	მასალის ვიზუალური წარმოჩენა	6	1	2	3	4	5	6				

გთხოვთ, შემოხაზოთ ქულა შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად.



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

შეფასების დამთვლელი კომისიის ოქმი №

- ❖ უნდა იქნას შევსებული გარკვევით
- ❖ ფორმა იბეჭდება ერთ ფურცელზე
- ❖ მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა

სადოქტორო პროგრამა

დოქტორანტის გვარი, სახელი:	
დაცვის თარიღი:	
ხელმძღვანელ(ებ)ი:	

საბოლოო შეფასება _____

№	კომისიის წევრები	ხელმოწერები
1.		
2.		
3.		